# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 132

წელიწადი მეორე

1913

ოთხშაბათი, 28 აგვისტო.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა

„იმერეთის“ რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 29 აგვისტოს თავარანგელოზის ეკლესიაში

## ილია ჭავჭავაძის

ტრაგიკულათ გადაცვალების ექვსი წლის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

---

ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა აცხადებს, რომ დიდებული მწერლის

## ილია ჭავჭავაძის

ტრაგიკულათ გადაცვალების 6 წლის თავზე, ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, დღის 12 საათზე თავარანგელოზის ტაძარში გადხდილ იქნება პანაშვიდი განსვენებული მგოსნის სულის მოსახსენებლათ.

---

აქიმი იასონ ისიდორეს ძე ქორდანია, თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე მეუღლით კნეინა მარიამ ირაკლის ასულით და შვილით ჯუმბერით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 აგვისტოს, ქ. ქუთაისში უდროვოთ გადაიცვალა პირველის—მეუღლე, მეორეთა—ასული და უკანასკნელის—დაუვიწყარი დაი

## ნატალია დავითის ასული ქორდანიასი.

ცხედრის გამოსვენება თ-დ ნიჟარაძის ბინიდან (ინჟენერნი ქუჩა) და დაკრძალვა მოხდება 29 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე.

---

## განცხადება.

...უსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების ქუთაისის საagenტო, რომელიც იმყოფება ვარანცოვისა და პუშკინის ქუჩების კუთხეში, ამით ...ცნობებს, რომ 10 სეკტემბერს ამა 1913 წელს, ძმათა გოკიელების სახლში, მისი საქონლის საწყობში დანიშნულია მეორედ

## საჯარო ვაჭრობა;

...აიყიდება ფართლეულობის საქონელი, გამოგზავნილი მოსკოვიდან კონოსამენტებით 5 და 16 თებერვალსა ამა 1913 წელს №№ 3621,3772 რომელიც პატრონების მიერ 802 და 810 §§-ბის ძალით თავის დანიშნულ ვადაზე არ არიან გამოყიდულნი.

საქონლის დათვალიერება შეიძლება თვით ვაჭრობის დღეს დილის 10 საათიდან.

## ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисское агентство русскаго общества Пароходства и торговли симъ объявляетъ, что 10 сентября сего 1913 года въ складѣ его на углу Воронцовской и Пушкинской улицѣ въ д. Бр. Гокіеловыхъ назначены вторые

## торги на продажу

мануфактурныхъ товаровъ, прибывшихъ изъ Москвы по коносаментамъ отъ 5 и 16 февраля 1913 года за №№ 3621,3772, за непринятіемъ ихъ получателями въ установленный §§ 808 и 810 уст. общ. срокъ. Желающіе торговаться могутъ осмотрѣть продаваемые товары въ день торга съ 10 ч. утра.

---

## აქიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

ლებულობს შინაგან, ბავშვებისა და ნერვების ავათმყოფებს.

### იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა **შარდისა** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა და თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
ნახველის (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აქტინომიკოზი და სხვ..)
სისხლის (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
კუჭის სითხის (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
ესკრემენტების (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
ხორხის (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
ქალის რძის.

**ადრესი:** პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.

---

# რედაქციისაგან.

„იმერეთის“ რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ გაზეთის გამოცემის საქმე ტეხნიკური მოუწყობლობის მიზეზით ხშირათ შეფერხებულია.

ჩვენი გაზეთის დღეის ნუმერში, როგორც მკითხველი დაინახავს, ბევრი საკვირაო მასალაა—ე. ი. ეს ნუმერი კვირას უნდა გამოსულიყო და სწორეთ ასოთ-ამწყობთა და კანტორის გამგის მორის შეუთანხმლობით არ გამოვიდა და მხოლოდ დღეს გამოდის.

ამიერიდან თვით რედაქცია კისრულობს გაზეთის გამოცემას და ეცდება საქმე წესიერათ მოაწყოს და კვლავ მკითხველების სამართლიანი საყვედურები აიცდინოს.

ამასთან მივმართავთ ჩვენს ხელისმომწერთ, აგენტებსა და სხვათ, ვისაც კი რედაქციასთან რაიმე ანგარიშები აქვს, ან შემდეგში ექნება, ამიერიდან ან პირდაპირ რედაქციას ანა და რედაქციის დანდობილ პირს გაუსწორონ ეს ანგარიში.

შემდეგი ნუმერი ჩვენი გაზეთისა კვირას, 1 ეკენისთვეს გამოვა.

---

## 1913 წლის 1 ეკენისთვიდან

ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე პროვიზ. ფ. ა. რელიგიონის სახლში, თეთრ ხიდთან გაიხსნება

## პირველი კერძო საავათმყოფო

### სპეციალისტი აქიმებისა მუდმივი საწოლებით.

საავათმყოფო მოახდენს ანალიზს: შარდისა, ნახველისა, სისხლისა და სხვ. ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა, კონსულტაციურათ 606 და 914 შესხმა. არის განკერძოებული ოთახები მძიმე ავათმყოფთა და მშობიარეთათვის. მუდმივი მორიგეობა აქიმებისა.

დამფუძნებელი აქიმები:
აქ. გ. ა. ჭოლოშვილი,
— გ. ს. ნადირაძე,
— მ. დ. ბეთანელი,
— დ. ი. ჯაფარიძე.

---

## განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ 1913 წლის 25 მარიობისთვიდან.

### ქალთა პროფესიონალურ შკოლაში

დაიწყება ბავშების მიღება დილის 9-2 საათამდი. წლიური გადასახადი განყოფილებებში 20 მან. კლასებში-კი 25 მანეთი. წელს გაიხსნება მე-3-მე კლასი.

შკოლის უფროსი მ. დუნდუა.

**შკოლის მისამართი:** ბაზრინის შესახვევი სტ. ფირალოვის სახლებში.

---

## ქუთაისის საფირჩხიის სამზრუნველო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 15 ეკენითვეს, დილით 11 საათზე, ამ სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა:

### საფლავების გაჭრისა, სასაფლაოს დაცვისა და სხვა..

ვაჭრობის დროს საწინდრათ საჭიროა 200 მ. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება ბ. იაკობ გ. ჩიმაკაძესთან, სახაზინო პალატაში.

---

### ახალი უვნებელი საშვალება
## რძე პირისახისათვის „ბეტტი“

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა. აფთიაქის მაღაზია პ. ა. შავერზოვი.

---

შინაგან სნეულებათა **აქიმი**

ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

---

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

---

**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი ვენერიული კანის) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

---

## აქიმი ი. ჩარექოვი

იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

---

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ასწავლის გერმანულ ენას თეორეტიულათა და პრაქტიკულათაც. იკითხეთ ლევაშოვის ქუჩაზე სიმონ კოკოჩაშვილის სახლში.

---

**აქიმი** კ. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. ივანოვის ქ. პ. აშიანცის სახლი.

---

## ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

---

## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

---

# ჩვენი საჭიროება.

შესაფერი ნაყოფი გამოიღო ასი წლის ბიუროკრატიულმა „ჩინოვნიკურმა“ მართვაგამგეობამ.

არ გვაქვს ეროვნული მეცნიერება.

ხალხის უმეტესობამ წერა-კითხვაც კი არ იცის.

მიწა გამოიფიტა, ტყეები გაქრა და მოუსავლობა ქრონიკული შეიქნა.

მრეწველობა და ვაჭრობა არ განვითარდა.

და ამასთანავე არც საერობო და სამოქალაქო უფლება მოგვეპოვება.

ერთი მხრით მეფობს ძალმომრეობა, მეორე მხრით სიღატაკე.

სული ეხუთება ხალხს.

დაიჩაგრა, გული გაუტყდა.

და ამავე დროს აუარებელ ხარჯსა და ენერგიას იმეტებს ახალთაობის ასაზდელად სქოლასტურ შკოლებში, რომელნიც ამზადებენ „ჩინოვნიკებს“.

ჩვენი პატარა ერი რამდენსამე ათას სტუდენტს ზდის რუსეთსა და საზღვარგარედ.

და მათ რომ ნამდვილი, სასარგებლო ცოდნა მოქონდესთ, „ჩვენისთანა ბედნიერი იქნებოდა სადმე ერი“?

საქართველო სამეურნეო ქვეყანაა.

და ამისთანა ქვეყანას ერთი ხეირიანი სამეურნეო სასწავლებელიც კი არ მოეპოვება!

და მრეწველობა რომ არ განვითარდა, ამის მიზეზიც ხომ ტეხნიკის უცოდინარეობაა.

სადაც კი არის ქარხნები, მაგალითად, ბაქოში, ქართველ მუშებს ერიდებიან, არა მარტო სომხები და თათრები, არამედ ქართველი კაპიტალისტებიც კი.

მარტო ბაქოში ათი ათასამდი ყოფილა უმუშევარი ქართველი.

თავს არ ვუჯერით, თვარა საშინელი ეროვნული კრიზისი გვაქვს თავს დატეხილი.

მრავალგვარია სახსარი და წყარო ეროვნული ცხოვრებისა.

მაგრამ უმთავრესი ჰკვებელი ჩვენი ერისა—მიწაა.

მიწაა საფუძველი, რომელზედაც არის აშენებული ჩვენი ეროვნული შენობა და რომელიც ასაზდოებს ეროვნულ სხეულს.

მაგრამ ასაზდოებს ცუდათ.

მერე რა მდიდარი ბუნება გვიპყრია ხელთ!

საქართველოს, კარგად რომ იყოს მოვლილი და დამუშავებული, შეუძლია შეინახოს თუნდ ოცი მილიონი მცხოვრები, არა თუ ორი.

სითბო, ნიადაგის მრავალფეროვნება, გეოგრაფიული მდებარეობა, ხალხის მიდრეკილება მეურნეობისადმი,—ყველაფერია, რომ ქვეყნის ბედლად შეიქნეს ეს კურთხეული კუთხე.

ამისთვის კი ყველაზე უფრო—შესაფერი ცოდნაა საჭირო.

როდის იქნება რომ მოვა გონს ჩვენი სტუდენტობა და აიღებს ხელს „საჩინოვნიკო“ სწავლაზე.

მოწოდებით რომ ირჩევდენ, მაგალითად, ისტორიკოფილოლოგიურსა ან იურიდიულ ფაკულტეტებს, წისლა რა უნდა ეთქვა: ახალი მეცნიერები შეგვეძინებოდენ და გაამდიდრდებდენ ჩვენს ისტორიულ ლიტერატურას.

მაგრამ უმეტესობა ლუკმაპურისათვის სწავლობს, ისე უყურებს სწავლას, როგორც თავის საკვებ საშვალებას.

და, ამიტომ, ბევრი გვყავს იურისტი და ფილოლოგი, მაგრამ ცოტაა მათ შორის მეცნიერი მკვლევარი.

იმდენიც არ არის, რომ თითებზე ჩამოვთვალოთ!

და მეურნეებად რომ მომზადებულიყვენ და დახმარებოდენ ხალხს თავის სასარგებლო ცოდნით, ცხადია, უფრო გამოადგებოდენ, როგორც თავის თავს, აგრეთვე სამშობლოს.

დღეს კი, უცხო ქალაქებში გადახვეწილნი, ბედისწერას იწყევლიან, რადგან არც თავისთვის არიან და აღარც მოძმეთათვის.

სასურველია, რომ ახალგაზდობის უმეტესობამ შესცვალოს გზა, მიმართულება, და დაისახოს მიზნად იმისთანა ცოდნა, რომელიც ყველაზე უფრო სჭირდება ქვეყანას.

ხშირად გამიგონია: ნასწავლ მეურნეს არ აქვს ჩვენში სამოქმედო მოედანი, რადგან საკუთარი თანხა არავის მოეპოება, ამხანაგობის შედგენა შეუძლებელია და სხ. და მეურნე ჯერ აქით-იქით ეცემა, მიეხლებ-მოეხლება და, როდესაც დარწმუნდება, რომ არაფრის გაკეთება არ შესძლებია, იძულებულია, ისევ „ჩინოვნიკობაში“ შერგოს თავი.

მაგრამ, ჯერ ერთი, არის სხვაგვარი მაგალითებიც: ბევრ განათლებულ მეურნეს ვიცნობთ, საკუთარ მამულს რომ მოახმარა თავისი სპეციალური ცოდნა და ცხოვრობს თავისი ინიციატივითა და შრომით, სხვისგან დამოუკიდებლად.

და, მეორე, უკვე შეიგნო ხალხმა ძველი სისტემის შკოლების უნაყოფობა.

პატარა ხანს იქით გაჩნდება და დაქსელავს ჩვენს ქვეყანას აუარებელი სახალხო სამეურნეო შკოლა.

დღესაც კი გვჭირია მასწავლებლები სამეურნეო შკოლებისათვის.

და, ვიდრე დაკმაყოფილდებოდეს ეს მოთხოვნილება, შორს არის ჯერ ის დრო.

ისე მშიერია ჩვენ ქვეყანა სამეურნეო შკოლებითა და მასწავლებლებით, რომ დიდ ხანს ვერ გაძღება ამ მხრით.

დიდია ეს მოთხოვნილება, და დიდი ასპარეზი ეშლებათ თვალწინ ნასწავლ მეურნეთ.

ოღონდა ცოდნა იყოს,—და კი მოხმარდება საქმეს, ფუჭად არ ჩაივლის.

დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ აგრეთვე ჩვენს საზოგადო და საქალაქო დაწესებულებათ.

და ერთი ადვილი შესასრულებელი საშვალება მეგულება ამ ჟამად.

ჩვენი საადგილმამულო ბანკის მიზანი იყო, გაეუმჯობესებია მეურნეობა. მაგრამ ნამდვილად მისი მოქმედება არა თუ სარგებლო, არამედ მავნებელიც კი შეიქნა.

საჭიროა, გაასწოროს თავისი შეცდომა და კვლავ აღიაროს უკუგდებული მიზანი.

ქრონიკული მოუსავლობა სხვათა შორის იმის შედეგიც არის, რომ ყანებს არ აბრუნებენ, ე. ი. პლანტაჟს არ უკეთებენ, მინერალურ პატივს არ აყრიან, გაუმჯობესებული სახნისით არა ხნავენ,—არ ფარცხავენ და სხ.

საჭიროა, მაშასადამე, საწყობების გახსნა სხვადასხვა ალაგას.

საწყობი უნდა ქონდეს ჩაბარებული ინსტრუქტორს, რომელსაც დაბალი სამეურნეო სასწავლებელი მაინც უნდა ქონდეს დასრულებული.

ინსტრუქტორი მოვალე იქნება აუხსნას ხალხს, და, თუ საჭირო იქნება, თვითონ აჩვენოს მემამულეს, როგორც იარაღის ხმარებისა, აგრეთვე პლანტაჟისა, დამყნისა, პატივის დაყრისა და სხ. წესები.

საწყობში იქნება აგრეთვე თესლეულობა, შაბიაბანი და სხ.

და, რომ ოციათას მანეთს გადადებდეს წელიწადში ბანკი ამგვარი საწყობებისათვის, დიდ ამაგს დასდებს ჩვენს დაცემულ მეურნეობას.

შემდეგ კი თვით საწყობები იბარტყებენ, ე. ი. მათი მოგების წყალობითავე გამრავლდება მათი რიცხვი.

და მეურნეობა ერთი ნაბიჯით მაინც წაიწევს წინ.

**ისარი.**

## თ-დი პეტრე ბაგრატიონი.

„გსთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ“.

ხვალ, 26 აგვისტოს, იქ შორს, რუსეთის შუაგულ ბოროდინოს ველზე, საცა ასეთის ზეიმით იდღესასწაულეს შარშან ამ დროს ბოროდინოს ომის ასი წლის იუბილე, პირველთა შორის ღვდელმთავარი მოიხსენიებს სახელს თავადის პეტრე ბაგრატიონისას· იქ იმ ადგილს გამოეთხოვა სამუდამოთ იგი ბრძოლის ველს, იქვე ბოროდინოს მიდორში განისვენებს იგი საუკუნოთ. ვინ იყო იგი, და ან რად შეეწირა ბოროდინოს ბრძოლას? ამის პასუხს რუსეთის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტეს დასაწყისის სამხედრო ისტორია იძლევა. დღეს ჩვენ მხოლოდ გვსურს მოვიგონოთ დიდი სამხედრო ნიჭის პატრონი ქართველი კაცი, რომელმაც გაადიდა და გაახელოვნა მთელს ევროპაში რუსის იარაღის სიძლიერე, რომელმაც მრავალს უმაგალითო, უსწორ ბრძოლაში გამარჯვება მიანიჭა რუსეთს. რაღაც ტრაგედიული და თანვე გმირულ-პოეტურია მთელი მისი სიცოცხლე. სამშობლოს მოწყვეტილი უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში იწყო მან თავისი გმირული ცხოვრება.

ბრწყინვალე თავრიდის თავადის პოტემკინის განკარგულებით ჯერ კიდევ თვრამეტი წლის ყმაწვილი ირიცხება სერჟანტათ კავკასიის მუშკეტერთა პოლკში; ამ პოლკს მუდმივი ბრძოლა ქონდა ჩაჩნებთან.

თვისი საარაკო ვაჟკაცობით იგი ძალიან მალე იჩენს თავს, არა მარტო რუსებში, ჩაჩნებშიც კი. ეს უკანასკნელები პატივს სცემენ ახალგაზდა ბაგრატიონს, როგორც საუკეთესო მეომარს, რომელსაც მუდამ მოწინავე რაზმებში ხედვენ. სწორეთ ამ გარემოებამ იხსნა იგი სიკვდილისაგან, როცა ერთ-ერთი შეტაკების დროს მძიმეთ დაჭრილი ბრძოლის ველზე გულწასული დაეცა. მტრებმა იცნეს თ. პეტრე და არა თუ არ მოკლეს, როგორც სხვები, პირიქით წყლული შეუხვიეს, მოარჩინეს და რუსების ბანაკში მიიყვანეს. მთის ხალხი დიდათ აფასებს პირად სიმამაცესა და ვაჟკაცობას და ამიტომაც გადარჩა დაღუპვას გმირი.

მაგრამ ამავე თავ შეუკავებელმა სიმამაცემ დაღუპა იგი. 26 აგვისტოს დილით მწვავე გაცხარებული, აფიცული შეტაკებაა. ნაპოლეონის ლომები გაშმაგებულის იერიშით მოდიან რუსებზე. მათ განსაკუთრებით ბაგრატიონის ფლეშები ამოიჩემეს. ბაგრატიონის ჯარმა ექვსჯერ უკუაგდო პონიატოვსკის ჯარები თავის პოზიციებიდან. ეს ბრძოლის ღმერთი ბაგრატიონი, როგორც არწივი, თავს დასტრიალობს ცხენით თავის მებრძოლთ. მისი დანახვით სალკლდევდებიან რუსები... ამ დროს იგი დაინახავს—ფრანგების ორი პოლკი აუჩქარებლათ, გამოზომილის ნაბიჯით რუსების პოზიციებისკენ მოდის. რუსის ტყვია ყუმბარა მუსრს ავლებს მათ, მთელს ჯგუფებს სპობს, მაგრამ გადარჩენილნი ისეთისავე სიმშვიდით, აუჩქარებლათ მოდიან მტერზე ამას უყურებს ბაგრატიონი, იგი რომ ომის პოეტია და აღტაცებული ვაშას შესძახის მტერს.

ამ დროს მტრის ყუმბარა ფეხში ჭრილობას აძლევს; სურს წყლული არ შეიმჩნიოს, იქით აქეთ დააქროლებს ცხენს და სისხლიდან კი იცლება. იგი ძალათ გაყავთ ბრძოლის ველიდან.

ჯარის უფროსობა გრ. კონოვანიცინზე გადადის. აი, უკანასკნელი წუთები მისი ბრძოლის ველზე ყოფნისა. 125 ბრძოლის მონაწილე უმნიშვნელო ფეხში ჭრილობის სხვერპლი გახდა, ვარშავის, ბრესტლიტოვსკისა და შენგრაბენის ბრძოლათა გმირი, როცა ნაპოლეონი მოსკოვს მოადგა, თვის სოფელში წყლულს ირჩენდა.

8 სეკტემბერს რაღაც ქაღალდებით კურიერის გაგზავნა მოისურვა მოსკოვს. მოსკოვის აღებას უმალავდენ მას; მსახურს წამოცდა: მოსკოვში ნაპოლეონის ჯარებიაო. ამის გაგონებაზე სრულიად დაავიწყდა ფეხის ტკივილი და გაშმაგებული ზე წამოიჭრა, ფეხის გადადგმა და წყლულის გახსნა ერთი იყო. სიკვდილის წინა წუთებში იგი სწერდა გრაფ როსტოპჩინს: „მეგობარო! მე ვკვდები წყლულით კი არა, მოსკოვის უბედურებით“.

ასე დასრულდა მისი ბრძოლა, ვისაც თვით ნაპოლეონი სთვლიდა თავის მეტოქეთ და არჩევდა რუსების სხვა სარდლებისგან,

მკითხველმა მოგვიტეოს, რომ ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრების სისტემატიურ აწერას ვერ ვათავსებთ დღეს. ეს ჩვენს მიზანს არ შეადგენდა. დარწმუნებული ვართ ჩვენი მოინტელიგენტო საზოგადოება ამ გმირის პიროვნებას იცნობს, ჩვენ მხოლოდ გვსურდა, რომ იმის გმირული, პოეტური პიროვნების ხსოვნა აგვედგინა, რადგან მისი ცხოვრება ბევრ საგულისხმოს გვეუბნება დღეს ჩვენ.

დავუკვირდეთ მის არსებას: შთამომავლობით ქართველი, რაც თავი იცნო, მუდამ რუსეთის სადიდებლათ და გასაძლიერებლათ იბრძოდა. მან დაივიწყა თავისი სამშობლო და მაშინ როცა საქართველოს ბედი სწყდებოდა, თავს აკლავდა რუსეთის მტრებს, რუსეთის სიყვარული ჩაინერგა და აღიზარდა სათუთად გულში. სიკვდილის ჟამს მოსკოვის უბედურება ახსოვდა:—მე ვკვდები არა წყლულისგან, არამედ მოსკოვის უბედურებისგან, აი, მისი აღსარება.

მერმე რით გადაუხადა რუსეთმა ესოდენი დიდი ამაგი, რომელიც ბაგრატიონმა მას დასდო? ოფიციალურმა რუსეთმა და ისტორიამ მისთვის ვერ გაიმეტა ადგილი პირველთა რიცხვში. მან მხოლოდ ბუტუზოვისა და ტოლის ხსენება შემოსა უკვდავების გვირგვინით. რუსის პრესა, რუსის საზოგადოება კი შარშანდელ დღეს, სასწაულების დროს, ისე, ზდილობის გულისთვის მოიხსენიებდა ხოლმე, ისიც ხანდახან, როცა უთქმელობა შეუძლებელი იყო. ამ მხრით პროგრესიულ გაზეთებზე უფრო სამართლიანობა „ნოვოე ვრემიამ“ გამოიჩინა. თვით ტოლსტოიმაც, თუმცა იგი უდიდესი სამხედრო ნიჭის პატრონ პირათ გამოიყვანა, მაგრამ წმინდა რუსებისგან დიდათ არჩევს: „აღმოსავლეთური სახის გამომეტყველება ქონდა, აქცენტით ლაპარაკობდაო—ამბობს იგი როცა მოსკოვის თავადაზნაურთაგან მის საპატივცემლოდ გამართულ სადილს აწერს. ამას იმიტომ კი არ ვსწერთ, თითქოს გვინდოდეს დავამტკიცოთ ტოლსტოიმ უკეთურათ მოიხსენია რომანში-თქო, არა, ჩვენ გვინდა ავნიშნოთ ის, რომ სულითა და გულით გარუსებული, რუსეთისთვის სხვერპლათ შეწირული დიდი სარდალიც ვერ მიითვისა რუსის საზოგადოებამ. იგი რუსებისთვის მაინც აღმოსავლეთის კაცათ დარჩა. ეს მაგალითი ბევრ რასმე მოგვითხრობს მთელს ქართველობას. დიდათ საყურადღებოა „გადაგვარების მოსურნეთათვის“. ბაგრატიონის ისტორია გვასწავლის, რომ ამაოა ცდა თავის სახის დაკარგვით რუსული შეიძინო. სულით ხორცამდი გარუსებულს რუსი თავისათ არ გცნობს. და დღესაც ჩვენი გარუსების მოტრფიალენი განა ღამურას მდგომარეობაში არ არიან.

მაგრამ, რას უზამ, არ უნდათ გაიგონ, რომ იქით გასავალი ხიდი ჯერ ისტორიას არ გაუკეთებია და ვინ იცის, იქნება ვერა და არც გააკეთოს.

## დღიური.

დუდერგოფში შვეციის სამხედრო ჯაშუში დააპატიმრეს.

— ფიქრობენ აბაშეთსა და ეგვიპტეს ინგლისის ჯარი დაიკავებსო.

— მთაშავეთსა და სერბიას ერთმანეთ შორის უკმაყოფილება აქვთ.

— ბულგარეთმა ცეტინიაში თავის საელჩო გააუქმა.

— ტალატ-ბეიმ „ნოვ. ვრემიას“ კორესპონდენტს უთხრა;—ოსმალეთი მუსტაფ-ფაშას, ადრიანოპოლს და ფირკილისეს თხოულობსო.

— ბულგარეთში დიდი არეულობაა: ჯარი დანევის სასახლესთან მისულა და ყვირილი დაუწყია:—სიკვდილი ცემსო.

— გაზეთი „რუსკაია მოლვა“ ... ხურა.

— პეკინში 3 სუნიატსენის მომხრე ... საჯეს. არეულობა ძლიერდება.

— ჩინეთის ვაჭრებმა სთხოვეს დ... მონგოლეთის საკითხის გადაწყვეტა ... ქარონ, თვარა ჩინეთის ვაჭრობა ... ცაო.

— ოსმალეთი ფულს საფრანგეთის ... სესხულობს.

## ახალი ამბავი.

ილია ჭავჭავაძის პანაშვიდის გამო ქუთაისიდან სხვადასხვა ქართული დაწესებულება თავის წარმომადგენლებს გზავნის თფილისს დიდებული მგოსნის ხსოვნის პატივსაცემლათ.

ჩვენი რედაქცია თავის წარმომადგენელს აგზავნის პანაშვიდზე დასასწრებლათ.

✦ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქალაქის თეატრში ბ-ნი კოსტანტინე ლორდაშვილის ლექცია გაიმართება.

✦ სოფ. ხორშში (ოდიში) გარდაიცვალა ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, უგ. თავ. გრიგოლ კონსტანტინეს ძე დადიანი, უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის ძმის წული.

შავი ზღვის ნაპირა რკინის გზის მიმართულება ტუაფსიდან სოფ. ხეთამდი გარკვეულია კიდეც. ხოლო შემდეგი მიმართულების პროექტი ამ გზისა ორნაირია: ერთი ხეთიდან—ქვალონამდი, მეორე მდ. ცივამდი (სენაკის მიმართულება) და შემდეგ შტო ქვალონამდი.

ეს მიმართულება უფრო სასიამოვნოა და სასარგებლოა მცხოვრებთა უმრავლესობისთვის და დეპ. ვ. გელოვანიც დეპეშით იწერება—დავიცავ იმ მიმართულებას, რომელიც უფრო ხელსაყრელია მცხოვრებთა უმრავლესობისთვისო.

✦ გუშინ აკადემიკოსი მარი გელათში იყო, თან ახლდა ორი მისი ნამოწაფარი ვ. ბერიძე და ორბელი. ქუთაისიდან აკადემიკოსი გურიაში მიდის.

✦ 29 აგვისტოს, ილიას ტრაღიკულათ გარდაცვალების მეექვსე წლის თავზე ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თაოსნობით თფილისში, მამადავითის მთაზე, პოეტის საფლავზე პანაშვიდი იქნება გადახდილი.

✦ ქალაქის გამგეობამ მომრიგებელ მოსამართლეს გაუგზავნა 87 ოქმი სასანიტარო წესების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის და უვარგისი სანოვაგის გაყიდვის შესახებ.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა 2 სეკტემბერს მოხდება.

✦ ქალაქის გამგეობას არავითარი პასუხი არ მიუღია წყალსადენის კონცესიონერების დადიანისა და კანცელისგან, რომელთაც ნოტარიული წესით გაეგზავნათ წინადადება, რომ ორი კვირის განმავლობაში მოეცათ პასუხი თანახმა არიან თუ არა, აკისრონ წყალსადენის გაკეთება ქალაქის საბჭოს მიერ მოწონებული პირობით.

✦ სეკტემბერში გადახდილ იქნება წინამძღოლიანთ-კარის სასწავლებლის 30 წლის იუბილე. იუბილეზე ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წარმომადგენლებათ იქნებიან ა. ჯაჯანაშვილი და ბ. ღედაბრიშვილი:

✦ რედაქციამ მიიღო გამომცემლობა „იმერეთი“-ს ხელმძღვანელობითა და ბ. იაკობ მანსვეტაშვილის საფასით ქუთაისში გამოცემული აკაკის ნაწერების მეორე წიგნი. ამ ათი თვის წინათ ეს წიგნი ცენზურამ დააკავა და სასამართლოს დადგენილებით იქიდან 64 გვერდი ამოსჭრეს აკაკის ახალი პოემისა—„ვორონცოვი“. ამ პოემის მაგიერათ გამომცემელს მგოსნის სხვადასხვა ძველი ნაწერი ჩაურთავს.

წიგნი შეიცავს 256 გვ., დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და სუფთადაა გამოცემული. ფასი ხელისმოწერით იყო ათი შაური, ახლა კი 15 შაურია.

✦ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თავჯდომარემ გენ. გ. ნ. ყაზბეგმა საზოგადოების გამგეობას სთხოვა, გაანთავისუფლოს ხსენებული თანამდებობიდან. წ. კ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ბ-ნ ყაზბეგს, კვლავ დარჩეს საზოგადოების თავჯდომარეთ.

✦ იტალიელი გაზეთები დიდის ქ... იხსენიებენ ლიეორნოში, კატანი... ბრანდიზში და სან ელეგრინოში ... თანამემამულის მომღერალ ქალს ... თარხნიშვილის ასულს.

✦ ბათომის ქართული დასის რე... რი შ. დადიანი მუშაობას უკვე შე... წელს ბათომის დასში არიან: ე. მე... ე. ანდრონიკაშვილის, ო. ლეჟავას, ს. ბეჟანიშვილის ასულნი. ვაჟთაგან ... დადიანი, ა. ყალაბეგაშვილი, პ. კო... შელი, დ. მგალობლიშვილი ა. გუ... შვილი, ალექსიძე, ვ. ქავთარაძე და ... სულ დასში იქნება 18 მსახიობი 6 ... და 12 ვაჟი.

### მოწერილი ამბავი.

**სოფ. საჭილაო.** კვირას, 25 ამ ... წარმოდგენა გაიმართება სამკითხველ... სასარგებლოთ, რომლის ნივთიერი ... რეც მეტათ უნუგეშო მდგომარეობა... იმედია, საზოგადოება თანაგრძნობით ... დება ამ სიმპატიურ საქმესა და ბლომ... დაესწრება.

**მარნის საზოგადოება.** უკანასკნელ ... ვის ყრილობაზე მარნის საზოგადო... ადგილობრივი ორკლასიანი სამინისტ... შკოლის საპატიო მზრუნველათ ერთხმ... ივანე ლორთქიფანიძე აირჩია.

## რას ვნახეთ ზემო-იმერეთ...

(წლევანდელი მოუსავლობის გამო.)

იმერეთის მარჩენალსა და მასაზ... ბელ ძალას სიმიდი და ღვინო შ... გენს. ხალხი ცდილობს უწინ გამო... დეგარი ადგილებიც არ დატოვოს უსარგებლოთ და ზოგჯერ ისეთ ა... ლებში ნახავთ სიმიდს ნათესს, ... გიკვირთ და გოცებთ—როგორ მი... მას ადამიანის მარჯვენა და როგორ ამუშავა.

ადგილის სივიწროვე და სამეურ... იარაღთა პრიმიტიულ მდგომარეობ... ყოფნა ხალხს აიძულებს ციცაბო, ... ბითა და ხრეშით სავსე კლდენი ... ბორცვები გასწმინდონ — გაასუფთა... ბევრგან ჭოობები ამოაშრონ და ... კლდე ფქვილათ აქციონ. ვენახის მ... მა ფილოქსერამ არც იმერეთის სოფ... ბი მოიძულა და იგიც მოინახულა. სადაც უწინ ტყესავით ხშირსა და ... ყოჩ ვაზებს შეხვდებოდით, ფილოქს... სავსებით გაახმო და გაანადგურა. იყო მიზეზი, რომ აგერ უკვე ათი ... ლია, რაც ხალხმა ფილოქსერის ... დან ასაცილებლათ აგრეწოდებული ... რიკული, მწარე ვენახის გაშენებას ... ხელი. კვლავ აყვავების გზას და... მევენახეობა და ახლა იშვიათად შეხ... ბით გლეხს, რომელსაც რამდენიმე ... ვა მიწა ვენახათ არ ქონდეს გაშენე... ლი. ყოველ წელს ღვინის მოსავ... თანდათან მატულობს და ამგვარათ ... ხის ეკონომიურ მდგომარეობას ... რებით სიკეთე ემჩნევა.

როგორც ვსთქვით—მეორე ძალას პურს არსებისას გლეხისთვის სიმ... შეადგენს, უმთავრესათ ყანები სიმ... თაა დათესილი, ლომს აქაური ხ... როგორღაც ვერ ეწყობა და პუ... იშვიათად სთესავს, ე. ი. იმდენს, ... დენიც სტუმრათ მოსული ნათეს... ცნობებისთვის ან დღეობისთვის დას... დება, სხვა დროს, სხვა გარემოებაში ... ხი პურით არ სარგებლობს. სწორე... ტრადიციათა ბრალი იყო, რომ ... პურის მოსავლმა მოლოდინს გადაა... და შიმშილობა კი მაინც აუცი... ლია, რადგან სიმიდი გადახმა, სიმ... აღარ არის და რამდენიმე კოდი*)

*) კოდი ზემოიმერეთში ორ ფუთ ... გარს უდრის. კოდშია ოთხი ბათმანი, მანში 8 თუა, ე. ი. 24 გირვანქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძილო ღამე.

—

ამ ლოგინზე შენ იწექი? ამ საწოლზე შენგეძინა?
ეგ ნაოჭი ტანს შეგეხო, ეგ საბანი მკერდს გეფინა?
ამ ბალიშზე ახლაც ვხედავ სუბუქ ნაკეცს მაგ შენ ღაწვის.
შენ წახვედი მწუხრის ბინდზე, ნეტავ გული უხმობს აწ ვის?
კიდევ ვეძებ... კიდევ ვამჩნევ შენს ტანით ნაკვთებს სარეცელზე...
აი, სარტყლის შენის კვალი გარს რო გერტყა წერწერტ წელზე.
თვალზე საბანს გადვიფარებ, ძილი აღარ მეკარება.
ჩუ, ფეხის ხმა, ჩემ სარეცელს თითქოს ვიღაც ეპარება.
გულს რა უნდა; რათ აღტყინდა, ნეტავ ბედი რას უქადის?
შენი სუნთქვა თუ იყნოსა, ყურის ბალიშს ზე რო ადის.
რა ვქნა, რა ვქნა, მწველი ფიქრი, ნეტავ, როგორ ავიშორო
სასთუმალი ცუდათა მაქვს სჯობს ბალიში გავისწორო.
ეხ, მე ლანდი რო მეგონა, ირხეოდა თურმე ფარდა...
ყველას სძინავს ნეტარ ძილით, ყველას სძინავს აქ ჩემს გარდა.
მოდი ისევ ერთს ვიფიქრებ, მარტო ერთ ფიქრს მივენდობი—
ფიქრი არის ბნელ ღამეში უძილობის წარმომშობი.
გიშრის ღამე შავ საშოში შიშვლათა სწევს, შავათ ღვივის.
მე მარტო ვარ ამ ბნელ ღამეს, სულის სწორი არვინ მივის...
ჩუ, ვინ კვნესის ჩემს მახლობლათ, ვიღაც ბოდავს, ვიღაც ჩივის.
ძაღლის ყეფა შორით ისმის და მამალიც სადღაც ყივის...
რა ვქნა ღმერთო, ნეტავ როდის, ნეტავ როდის გათენდება—
გვერდს შევიცვლი... ბალიშს ავწევ... ეხ, საბანიც ტანს მედება...
სასთუმალი რათ დადაბლდა? აკი, წეღან გავასწორე!
რა ვქნა, ფიქრი ფიქრს თან მისდევს, ფიქრი ფიქრს ვერ დავაშორე...
თვალს დავხუჭავ, სარეცელზე პირ უკუღმა დავემხობი
ფიქრი არის ბნელ ღამეში უძილობის წარმომშობი.

—

თვალს დავხუჭავ არ ვიფიქრებ, არ ვიდარდებ არაფერზე
მაგრამ, ნეტავ, ის რა იყო, რო იელვა თეთრად ჭერზე?
როცა ფარდა გადავწიე, როცა ფარდა გადავკეცე.
ეჰ, ეგ ლანდი იქნებოდა... სულთქმა უში ვაასკეცე.
თვალს დავხუჭავ ვსთქვი ისევე, კვლავ ლოგინზე დავემხობი.
ფიქრი არის ბნელ ღამეში, უძილობის წარმომშობი.

—

„ეგებ მასაც არ ეძინა ამ ლოგინზე მოსვენებით,
ეგებ ისიც ამ ჩემს ბალიშს, იხუტებდა გულში ვნებით,
ეგებ შენაც, ჩემო სულო, ჩემს ლოგინზე შენც ეწამე,
ეგებ თეთრად გაათიე ჩემზე ფიქრით შავი ღამე.
ეგებ შენაც ჩემი ბაგის თფილი სუნთქვა—შენც მოგწყურდა,
როცა მთვარე ჩემს სარკმელთან ღრუბელთ ზღვიდან გამოცურდა?—
კედლებს ვხედავ, რძისფერ კედლებს გამომყურეთ ობის ფერად
ყველას სძინავს, მაგრამ, ნეტავ ვიტანჯები მარტო მე რად?
სარეცლით წამოვიჭერ. „მეყო ტანჯვა აწ ესდენი."
ფანჯრის დვირე ატკაცუნდა, ყელს საკინძე შევიხსენი.
მინის ფერ ცად ახალ მთვარეს მკრთალი შუქი გარს ეფინა,
სახე ისე მიბნედოდა, თითქოს მასაც არ ეძინა.
თითქოს იგიც მქეჯნავ ფიქრით თეთრად ნაპენტ თვის საწოლზე
მოუსვენრად ტრიალობდა... ოცნებობდა სულის ტოლზე.

ლაიზგიგი. **კ. აბაშისპირელი.**

---

...ით ვინ გამოიკვებოს თავი? თუ უწინ ...იმიდი იმდენი მოდიოდა თითოეულ ...ეხს, რომ მის ოჯახს იგი არც კი ...ნდებოდა და სიმიდის ნაწილი ბაზარზე ...ქონდა გასასყიდათ, რათა სხვა ოჯახუ... საჭიროება დაეფარა და დაეკმაყო...ილებია, დღეს იგი სიმიდს არათუ ...ერ გაყიდის, მთელი მოსავალი მის ...ჯახს იანვრამდიც არ შეყვება სარჩოთ. ...ანები სასოწარმკვეთ სურათს წარმო...დგენს: იქ, სადაც სიმიდი 2—3 არ...შინის სიმაღლე იზდებოდა და თითოე...ულ ღერს 3—4 ტარო გამოქონდა, ...დღეს რამდენიმე გოჯის სიმაღლეც ძლივ ...არის, გაყვითლებული. ზოგგან გამჭკნა...რი, ზოგგან გამხმარი, უსიცოცხლო, ...რომელსაც არც ტარო გააჩნია და ჩა...ლათ, ცხოველების საკვებათაც უვარგი...სია. შეგხვდებათ ადგილები, სადაც რამ...დენიმე ქცევის სივრცეს ისე გაივლით, ...რამდენიმე ათასს ღერს სიმიდს დაითვ...ლით და ერთ ტაროს კი ვერ უპოვით. ...განსაკუთრებით ცუდი სანახავია ზესტა...ფონსა და სვირს შუა მდებარე ჭალები, ...სადაც ყოველთვის კარგი მოსავალი იცო...და და წელს კი არაფერი არაა, იგი ...მხოლოდ გლეხებში უიმედობისა და სა...სოწარკვეთის აღმძვრელია და მეტი არა...ფერი. გასცილდებით შორაპანს და იქაც ...იგივე სურათი, მხოლოდ იმ განსხვავე...ბით, რომ რამდენი ქვევით, საჩხერე-ჭია...თურისკენ მიიწევთ, მით უფრო და უფ...რო უმჯობესდება ნათესი და საჩხერის ...ზევით კი ოსეთისკენ გვალვა არ დატ...ყობია. მაგრამ შიმშილობა იქაც ისეთივე ...აუცილებელია, როგორც ზევით, ზესტა...ფონისკენ. და აი, რატომ:—საჩხერის ...საზოგადოებაში ყველაზე უკეთესი მოსა...ვალი საჩხერის მახლობლათ მდებარე ხო...დაბუნებმა იცის. გლეხებმა იციან თქმა: ...„ქვეყანა რომ დაიქცეს ხოდაბუნლებს ...არა გაუჭირდება რაო", რადგან ადგილი ...ვაკეა, ნიადაგი ნაყოფიერი, მსუქანი და ...სწორედ წელს ასეთი ადგილებია დაზა...რალებული გვალვის სუსხით, აქაა ნა...თესი გადამხმარი და გადამჭკნარი, ისეთი ადგილებია მოკლებული მოსავლის დოვლათს, რომელიც უმთავრესი მარჩენალი წყაროა საჩხერის კუთხის მცხოვრებლებისა და თუ ოსეთში, გინდა დანარჩენ მთების თითო-ოროლა სოფელში მოსავალი კვლავინდებურია და გვალვას ვერა დაუკლია, ეს ბარში მდებარე ადგილებით მიყენებულ ზარალს ვერ ფარავს, რადგან მთების მოსავალი თვით მთის სოფლებსაც ვერ ყოფნის და ბარის იმედით არიან, რაც გინდ უხვი წელიწადიც დაუდგესთ. მთელი საზოგადოების რამდენიმე საზოგადოებაში მხოლოდ ორი-სამი სოფელია წელს გვალვისგან დაუზიანებელი, მაგრამ დაზიანებული ხრონიკული მოუსავლობით. **იმერი.**

(გაგძელება იქნება).

# კ ვ ი რ ი კ ე.

ძალიან ხშირათ ჩაუფიქრებივარ ერთ რასმე:—ამ დალოცვილ ბუნებას რამდენი რა მწერი და ბუზანკალი გაუჩენია, რომ არაფრისთვის და არავისთვის სარგებლობა არ მოაქვს... ლობე-მძვრალა, ჭინჭრაქა ჩიტი როა, ისიც კი ვერ სარგებლობს მათით...

მაგალითად ავიღოთ კოღო.

ამ დილით ჩინებულ გუნებაზე ავდექი, მასალაც საკმაოთ მქონდა საკვირიკო, მოვეწყვე რიგისამებრ და ვსტუცე კალამი მელანში:—პწუუუ... ბზუუ... წიიი... ზოგი ყურთან, ზოგი ცხვირზე, ზოგი ხელზე.., აქეთ გაუქნიე, იქ მოვუქნიე, აქ მარცხენა ხელი მარჯვენაზე ვსტკუცე, კალამი ჩემს კვირიკეს ჩაერჭო და წვერი მიემსხვრა, სამელნე გადმოტრიალდა და მელანი შავათ მოედვა ქაღალდის ფარატინებს...

და დამებნა დალაგებული მასალები...

იოლათ გასამარტავი ასოციაციის ძალით ამ კოღოებზე ყოველთვის დასელები წარმომიდგება თვალწინ, ჩვენი დასელები.

მარა ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი ვინც იყო, მასწავლა წამალი ამ კოღოებისაგან—ოხრახუში და ნიახური, და ახლა დღე და ღამე სულ ამ ოხრახუშნიახურში ვარ...

ხოლო ამ დასელებისა ტ მათი პროტესტების წინააღმდეგ რა მალამო გვიშველის ვინც ამის წამალს გამოიგონებს და მოგვაწოდებს, იმას ოხრახუშსა და ნიახურს კიდევ ზედ პრასის მენდალსაც ვუწყალობებთ, მეტათ არ ეღირება ეს დამსახურება, თვარა, შეიძლება, ხახვიც წაუმატოთ ზედ. პრას და ხახვ ნაჭამი კაი ხანია არიან დასელები... ახლა ნარიძეს ნარ-ეკალი სცემია და ამ საერთო ბულ-ბურანში, პროტესტების განგაში ცდილობს „რაცხა" გამოაკვარახჭინოს, მიფორთხვილება გამოსჭვივის მინადმი, რასაც აქამდი იწილო-ბიწილოს ეძახდენ და.. არ უნდოდათ, ერთი სიტყვით, ვერ უხსენებდი, მარა ახლა ხსენება დაიწყეს ჯერ და მერე... მერე, მერე ვინ უწყის, რა გამოვა... ღმერთმა კაი ქნას, თუ კაი რამე მოსალოდნელია მეპროტესტებისაგან... **კვირიკე.**

# ჩ ო ხ ა თ ი დ ა ნ.

„გაფრიალდი"-ს № 17. ჩოჩხათელი პროტესტანტები შემდეგს სწერენ:

ჩვენ ულრმეს გულისწყრომას ვუცხადებთ „სახალხო გაზეთი"-ს, „იმერეთი"-სა და „თემი"-ს ხელმძღვანელთ და მათ ამყოლ-დამყოლთ, რომლებიც ცთილობენ სახელი გაუტეხონ დასელებს ხალხის თვალშიო. ამ პროტესტზე სხვასთან ერთად ხელი უწერია თვით პროტესტის შემადგენელს ვარლამ მგელაძეს. (სოფლის მწერალია) საბრალო! შენ რომ სახელი გაქვს ხალხში გატეხილი, იმაზე მეტი კიდევ შეიძლება? (!) ხალხი განა შენ თითონ არ გიცნობს? თუ გული დაგაკლდეს,—შენს ნაშრომ-ნაღვაწს—მამცნე და დაწვრილებით მოგიყვები.

ერთი „მოსე მწერალი" უკვე ყავდათ დასელებს პარტიაში და შენც მიემატე, ეს დასელობის წინმსვლელობის ნიშანია.

— დიდ არს ალაჰი!

**ხოზიკა.**

# ქმარი და ვირი.

სარდიონ ატამიძე თავის წესზე კარგა შეძლებული კაცი იყო: ოჯახი კაი ქონდა, პური და ღვინო ბევრი და მეზობელმოყვარეც მადლიერი. ეს იყო მხოლოდ, რომ უცოლო იყო და მუდამ იმას ფიქრობდა, როგორმე ღირსეული მეუღლე ეშოვნა. იმდენი დღის სიცოცხლე თქვენ, რამდენი გასათხოვარი ქალიც სოფლათ იყო და სულწასვლით ელოდეს კაი ბედს, მაგრამ სარდიონის სანუკვარი სულ სხვა იყო. ხშირათ ენახა ხოლმე ატამიძეს ქალაქის ქუჩებზე სასეირნოთ გამოსული, კოპწია, მოკაზმული ქალები; მისი სული და გული უნებურათ გაყოლია ხოლმე მათ.

— მერე რარიგ სუბუქნი, კოხტა და სურნელოვანი არიან ის მანჭიები; აი, ისეთ ქალს რომ მარგუნებდეს ბედი ცოლად, ჩემისთანა ბედნიერი მთელს დუნიაზე არვინ იქნება!

ხშირათ იტყოდა ხოლმე იგი და ერთ მშვენიერ დღეს გადასწყვიტა კიდეც ქალაქელი ქალის შერთვა.

აბა რას არ მოახერხებდა არაქათიძის ქვრივი კეკელა! ქალაქის ბაღში რომ დიდი სეირნობა იყო და ხალხი ახლათ ნაყარ ფუტკარივით ირეოდა, სწორეთ მაშინ გააცნო მას ბიცოლა კეკელამ მისი საბედო. ბონბონერკები, ცივი ლიმონათი, ქალაქს გარეთ ეტლით გასეირნება და... საქმეც გაიჩარხა, წინათ თუ შურის თვალით უცქეროდა ხელი-ხელ გაყრილ ქალ-ვაჟს, რომელნიც სიცილ-კისკასით ავსებდენ ქუჩებსა და ბაღებს, ახლა თვით შეიქნა სხვების სახარბიელო.

ისეთი ქორწილი გადაიხადა, რომ მეფის შვილს ეკადრებოდა: სამ დღესა და ღამეს ზურნა-დუდუკის ხმა არ შეწყვეტილა. ამ ხნის განმავლობაში სარდიონი ასაფრენ ქარივით ცმუტავდა, გულის ფანცაქალით ელოდა იმ წუთს, როცა გათავდებოდა მაყრების ღრიანცელი და საყვარელ პოლიჩკას ალერსით დასტკბებოდა. ეს დროც მალე დადგა, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც იგი ნატრობდა. ოთხი დღის განმავლობაში მხოლოდ ორიოდე კოცნა მოსწყვიტა მან ძვირფას ცოლს და ისიც ქურდულათ, უგემურათ. პოლიჩკა სულ გარე-გარე იყურებოდა ყველაზე გაწუწკებულ კატასავით. დღე ერთი იყო და ქალაქის საუკეთესო მაღაზიების შემოვლა კი—უთვალავი. ვერაფრათ ეჭაშნიკა ასეთი საქციელი სარდიონს, მაგრამ რა უნდა ექნა? გაგიჟებით უყვარდა პაწია პოლიჩკა.

ერთს მშვენიერ საღამოს, ქალაქის ბულისგან გავარვარებული კედლები ჯერ კიდევ არ გაგრილებულიყო, ლოგინზე წამოგორებული ქმარი შიშის კანკალით უცქერდა საპირფარეშო მაგიდას, რომლის წინაც თითისტარივით ტრიალობდა კარსეტით გამოწკეპილი ცოლი.

— ნუთუ ახლაც საყიდლებზე აპირებს წასვლას?

ფიქრობდა სარდიონი და სიმწრის ოფლი ასკდებოდა.

— ადე, ადე, შე კაცო, რაღას მაგვიანებ, სადაცაა მაღაზიებს დაკეტენ!...

მიმართა ცოლმა და ზურგი მიუბრუნა ღილების შესაბნევათ.

წელმოწყვეტილივით წამოდგა სარდიონი, ზოზინით ჩაიცვა, ხანტა მოძრაობით გადიდვა მკლავზე ცოლის წამოსასხამი და გაუდგენ გახურებულ ქვაფენილებს...

პეპელივით დაცქრიალობს პოლიჩკა მაღაზიიდან მაღაზიაში, ქმრის ზურგზე კი—იზრდება და იზრდება საპალნე.

— გეთაყვა—ეუბნება ცოლი ახალგაზდა ნოქარს—ეგ ქუდისა და ტუფლების კოლოფები ერთმანეთს გადააბი, იოლი წასაღები იქნება. სარდიონ, გენაცვალე, აბა, შენ იცი, თუ არ მომითვლავ ამ რუშუკებს. მოიცა, მოიცა! ეს საკაბე პოპლინი ფიჯაკის ღილზე ჩამოიკიდე; შლიაპისა და ტუფლების კოლოფი მარჯვენა მკლავზე, წამოსასხამიც ზევიდან გადააფარე... ოდეკოლონის შუშა რა უყავი? ოჰ, არ გამიტეხო; ქოლგა და ტუალეტის გადასაფარებელი?

— აგერაა, აგერ!

ბუზღუნებს ქმარი.

— რას იტყვი, ჩემო კარგო, ე სამგზავრო კოლოფიც რომ გამოვართვათ, მგონი, არ იქნეს ურიგო, ა?

— ვა, ჩემი ბრალი!

ფიქრობს სარდიონი და მორჩილად უკანტურებს თავს.

ხის კოლოფიც მის ზურგს მიემატა.

— სარკეს ხომ არ ინებებთ, ქალბატონო?—ეპატიჟება დარდიმანდი ნოქარი —მშვენიერი ტუალეტის სარკეები მივიღეთ, ვენეციიდან!

— აბა მიჩვენეთ!

სარდიონს კინაღამ გული წაუვიდა.

— ნუთუ ეს უშველებელი ორგოც მე უნდა ამკიდონ?!

გაიფიქრა მან და თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრო, რომ ორმაგი სარკე მის მარცხენა მკლავს ჩამოეკიდა.

— აწი მაინც რაღა ჯანდაბას იყიდის —გაივლო მან გულში—მთელი ქარვასლა გავაპარტახეთ ხომ?

მაგრამ ორი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ ცოლი გველნაკბენივით შემოტრიალდა.

— სარდიონჩიკ, დუშკა, აკი მეუბნებოდი დამავიწყებ-მეთქი!

— რაღაა კიდევ?!

შიშით შეეკითხა ფერწასული ქმარი.

— რაი, და საწოლი ოთახის კანდელი!

სარდიონს მუხლები მოეკვეთა.

სხარტათ მიწკაპუნებს პაწია პოლიჩკა ხალხით გაჭედილ ქვაფენილზე, მას კრავივით მისდევს დაზურგული სარდიონი, რომელსაც კარიკატურასავით მხოლოდ თავი და ფეხები-ღა მოუჩანს აუარებელ კოლოფ-ნახვევებიდან. ხან ერთ გამვლელს გაედება და წააბორძიკებს, ხან მეორეს; მიდის და ძლივს ითქვამს სულს.

ცოლი ვიღაც ნაცნობს შეხვდა, გამოსდვა მკლავი და მუსაიფში გაერთო.

სარდიონი კი შორი-ახლოს ძლივს მიჩოჩავს კუსავით. მოსახვევში წინ შეეფეთა სოფლელი, რომელსაც ვირით მწვანილი ჩამოეტანა, გოდრები დაეცალა და შინ ღიღინით მიდიოდა.

— გამარჯობა შენი, ძმობილო! მიმართა მას სარდიონმა.

გლეხმა გამარჯობა კი ულოცა, მაგრამ სახეზე ისეთი ღიმი გადაეკრა, თითქოს ამბობდა; ღმერთმა ხომ იცის, რომ ეს ჩემი ვირიც კი არ დამიზურგავს ხოლმე აგრე, როგორც შენა ხარო.

— რა მოგცე მაგ ვირში?

უცბათ მიახალა სარდიონმა. გლეხმა ხახა დაალო, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ ახირებული ვაჭარი აღარ ხუმრობდა, ხელათ მოურიგდა, დაულოცა ვირი და ღიღინითვე გაუდგა გზას.

სარდიონმაც თავისუფლად ამოისუნთქა. გადაკიდა ვირს თავისი ბარგი-ბარხანა, აიდენა წინ ცოლის ქოლგით და გამოუდგა პოლიჩკას.

— ვუი მე, თვალი კი დამიდგ—ცივათ შეკივლა ცოლმა—ხომ [illegible] ვე, ხომ [illegible] გიქნია?!..

— ჩემო [illegible] ლება, რომ ვირივით დაზურგული უკან მოგდევ, რადათ გაგიკვირდა, თუ ჩემი შრომის თანამოზიარე შევიძინე?!

დინჯათ მიუგო ქმარმა და ისევ ჩაქჩაქით აედევნა დასაპალნებულ სახედარს.

**ა. ჭუმბაძე და ჟ. ჟორჟიკია.**

დ. ხობი.

# მშრომელი ხალხი.

**ნავთის სამრეწველოებში.** ბალახანაში მანთაშევის სამრეწველოში მუშებმა მუშაობა დაიწყეს. მუშები დათანხმდენ სამრეწველოს ადმინისტრაციის მიერ წარდგენილ პირობებზე. გროზნში გაფიცვა თანდათან ვრცელდება. უკვე გაიფიცა 6 ათასი მუშა. სამრეწველოების დასაცველათ ცხენოსანი დაღესტანლები გაგზავნეს

**მეეტლეთა გაფიცვა.** ბაქოში მეეტლეთა გაფიცვა დასრულდა. მეეტლეებმა თავისი მოთხოვნილებანი ვერ დაიკმაყოფილეს.

**გაფიცვა დუბლინში.** ლონდონის მახლობლათ დუბლინში ტრამვაის მუშების გაფიცვის დროს დიდი არეულობა მოხდა. გამართეს რამდენიმე ადგილს მიტინგი. პოლიციამ მიტინგი დაშალა. დაჭრილებით საავადმყოფო აივსო. დაჭრილთა რიცხვი 433 კაცს უდრის. გაფიცვა მშვიდობიანათ მიმდინარეობდა, ხოლო ეს არეულობა მუშათა ბელადების დაპატიმრებამ გამოიწვია. დაპატიმრებულ მუშა ლარკინს დიდი სახელი და თანაგრძნობა აქვს მუშებში დამსახურებული. ის გაათავისუფლეს. მან განაცხადა კიდევ მივიღებ დემონსტრაციაში მონაწილეობასა და კიდევ ვიტყვი სიტყვასო. ლარკინმა დემონსტრაციის აკრძალვის შესახებ მთავრობის ბძანება კრებაზე დასწვა.

**ინგლისის მუშათა კონგრესი.** ლონდონში ტრედუნიონების კონგრესი გაიხსნა. კონგრესზე 600 დელეგატი მივიდა. 600 დელეგატი წარმომადგენლებია 2 ნახევარ მილიონ მუშისა. კონგრესის მიზანია პარლამენტის საშვალებით 8 საათის სამუშაო დღე შემოიღოს.

# რ უ ს ე თ ი.

**იუბილე.** ოკტომბერში გადაიხდიან „რუსკია ვედომოსტის" ორმოცდაათი წლის არსებობის აღსანიშნავათ იუბილეს. საიუბილეო კომიტეტი უკვე შესდგა. კომიტეტში შედიან გამოჩენილი მწერლები და ჟურნალისტები. არსდება ამასთანავე გაზეთის სახელობის ფონდი, ხელმოკლესა და ავათმყოფ მწერალთ დაეხმარება. ფონდისთვის ფულის შეგროვებას უკვე შეუდგენ.

**მაქსიმ გორკი და ილიოდორე.** ილიოდორე დაინტერესდა საზღვარგარეთის ცხოვრების გაცნობით და იტალიაში მაქსიმ გორკს სთხოვა, რაც შეიძლება ვრცლათ აწერე საზღვარგარეთის ცხოვრებაო: ერთი გაზეთის ცნობით ილიოდორეს მ. გორკისგან საპასუხო წერილი მიუღია. ილიოდორეს საზღვარგარეთ წასვლა მოუნდომებია, მაგრამ გორკს რჩევა მიუცია საზღვარგარეთ წასვლაზე ხელი აეღო და ილიოდორეც დათანხმებულა.

# უ ც ხ ო ე თ ი.

**ჩეხიის ავტონომია.** ლვოვში მოხდა სახალხო პარტიის დეპუტატთა კრება. კრებას დაესწრო როგორც ჩეხიის სეიმის ისე ავსტრიის პარლამენტის დეპუტატები. კრებამ მოიწონა ის რეზოლუცია, სადაც აუცილებელ საჭიროებათ იყო აღიარებული შტიურგკის სამინისტროს ოპოზიციაში ჩადგომა. მოითხოვეს აგრეთვე სეიმის მოწვევა და საყოველთაო არჩევნების შემოღება. ჩეხიის რადიკალურმა პარტიამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე უარი სთქვა. კონფერენციის მიზანია ჩეხთა და გერმანელთა შეთანხმება, ხოლო ეს, ჩვენის აზრით კი შეუძლებელიაო. ბრძოლა სწარმოებს ახლა არა ბოჰემიის გერმანელების წინააღმდეგ, არამედ ვენის ცენტრალიზმისაო. თუ ახალგაზდა ჩეხელებმა მიიღეს კონფერენციაში მონაწილეობა, მაშინ რადიკალები გაერთიანებულ ჩეხთა კლუბიდან გავლენო.

**სერბია და საბერძნეთი.** ბალკანეთის სახელმწიფოთა მხეცური მოქმედების გამოსაძიებლათ საერთაშორისო კომისია შესდგა. ამ კომისიაში სხვათაშორის შედის ვ. მილიუკოვი. სერბიამ მოითხოვა მილიუკოვის კომისიიდან დათხოვა. ახლა სერბიას მხარი დაუჭირა საბერძნეთმაც. საბერძნეთიც თხოულობს მილიუკოვის კომისიიდან განდევნას. გაზეთების ცნო-

მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

სავაჭრო სახლი
**ი. გოკიელის** შვილების
ქუთაისში.

| ბორჟომის წყალი | | თავის ბურბლით. | | |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (... |
| | 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 5... |
| | 1/2 | 16 1/2 კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. ... |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 | 1/2 | 14 1/2 კ. | 1 მ 40 კ. | 13 მ. ... |

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.**
ალექსანდრეს ქუჩ...

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაგზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვ...

ბით მილიუკოვი კომისიიდან არ გავა, ხოლო თვით კომისია საბერძნეთსაც დასტოვებს. საბერძნეთი თხოულობს პროფესორ პრაილსფორდის დათხოვასაც საბერძნეთის ამ მოთხოვნილების შესახებ ვენის პრესაში ბევრს სწერენ.

## ოდიში.

ს. კოტიანეთი. ტეხურმა კოტიანეთი აახმაურა, გაამშვენიერა, გაალამაზა, გააფართოვაო,—ამბობს ყველა გამვლელ-გამომვლელი და ეს მართალიც არის. ამ სოფელმა ხუთი წლის წინათ, მართლაც დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, ამაღლდა გონებრივათა და ზნეობრივათ და დაიმსახურა მთელი ოდიშის ყურადღება, კულტურული წინმსვლელობისათვის საჭირო იყო მატერიალური გაძლიერება და ამ მიზნით რამდენიმე პირის მეთაურობით მდ. ტეხურაზე, მიუხედავათ ზოგიერთი მოწინააღმდეგისა, ბ. ლადი გაგუას თაოსნობით აშენდა წისქვილი. წისქვილის შემოსავალმა საზოგადოებას დახარჯული ფულიც დაუბრუნა და საკლასო შენობაც ააგო, ამავე ბ. გაგუას მეთაურობით. დღეს წისქვილი ისეთ დონეზე სდგას, რომ შეუძლია ბევრი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას, მაგრამ როგორც, მოგეხსენებათ, აქაც ურევია ერთი ორი პირი ისეთი, რომელთაც თავის შეძლებით გავლენა აქვთ საზოგადოებაზე და წისქვილის შემოსავალს თავის სურვილისამებრ ატრიალებენ. ეს ვაჟბატონები ხელს უშლიან საზოგადოებას—დააარსონ სამკითხველო და კოოპერატიული დუქანი. თავის კერძო ინტერესები მაღლა აქვთ საზოგადოზე დაყენებული. კოტიანეთის საზოგადოება ძლიერ კარგს იზამს, თუ ამ ვაჟბატონებს თავიდან ჩამოიცილებს, ისე ვერავითარი კულტურული დაწესებულება მათ ხელში ვერ იარსებებს.

ბანკრატ ტეხურზირელი.

## ქვემო იმერეთი.

ს. ბზვანი. ბევრი თქმულა და დაწერილა ს. ბზვანის ავ-კარგზე, მაგრამ საჭიროთ მიმაჩნია ამ წერილით დავანახო საზოგადოებას ბზვანის ზოგიერთი მცხოვრების უშინაარსო ცხოვრება. აქაც, როგორც სხვაგან, გვალვის გამო მცხოვრებთ შიმშილი მოელისთ და ყველა საგონებელშია ჩავარდნილი. და ამ საერთო წუხილის დროს გამოსულა ზოგიერთი ვაჟბატონი და იმის ნაცვლათ, რომ ხალხთან ერთად გაიზიაროს მისი ჭირ-ვარამი, იფიქროს მომავალი უბედურების (შიმშილის) თავიდან აცილებაზე, მიუყვია ხელი ღვინის სმისთვისა და ქუჩაში ყვირილის, ლანძღვა-გინების მეტს არას აკეთებს. კულტურულ დაწესებულებაზე. ხომ მეტია ლაპარაკი. ამას წინათ წარმოდგენა გამართეს, შემოსული ფული სამკითხველოს დაარსებისთვის უნდა გადაედვათ. როცა ფული შემოვიდა და დაინახეს ამ ვაჟბატონებმა, სამკითხველო კიარა ღმერთიც დაავიწყდათ —არაფერი შემოსულაო, გაიძახოდენ. მათი უვიცობა იქამდისაც კი მივიდა, რომ როლების განაწილების დროს რჩევა დაიწყეს.—მე სტუდენტთან უნდა ვითამაშო... მე გიმნაზიელთან, არ მინდა მუშა ბიჭი და სხვ. აი ჩვენი ინტელიგენცია და მათი გონებრივი ავლა-დიდება.

ვაშა ინიციატორებს!...

Jratus.

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძე.

**ამ შემოდგომაზე ჭურებისთვის და-გჭირდებათ**
**საუკეთესო ცემენტი,**
რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ
**მმ. ე. და პ. საკაშვილების სავაჭროში**
**ქუთაისში** პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: სახლის საღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.

**თ. ა. მთავრიშვილის**
**წიგნის მაღაზია**
აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს
**დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა**
**წ ი გ ნ ე ბ ი,**
რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.
**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**
მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.
მისამართი: **ქუთაისი**, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.



М. А. К...
**ფორტეპიანის**
**მოხელე და სპეციალური მომწყობი**
**პიანინოსა და როიალის.**
**ცოტა ხანს დაყოფს ქუთაისში გზათ.**
**თფილისიდან საზღვარგარეთ.**
მისამართი: სასტუმრო „ფრანცია" ტელეფონი № 103. ნახვა შეიძლება (1—1 1/2) პირველიდან ორის ნახევრამდი. სამუშაოს მიღება შეიძლება 1 ეკენისთვემდი.

**აქციონერული საზოგადოება.**
ს. პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორიისა**
იზმაილოვის პროსპ. № 27
პარიზი 1900 **ოქროს მედლებით** ნიჟნ-ნოვგ. 1896.
**ქინაქინის წყალი თმისთვის.**
როგორც შეზავებული ჯანმრთელობისთვის არა მავნე ნივთიერებიდან პეტერბურგის საქიმო მართველობისაგან სავაჭრო დებულებათა მიხედვით გასაყიდათ ნებადართულია.
იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.**
**„პ ა ტ ო კ ს ა ნ".**
**„პატოკსან"** შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
**„პატოკსან"** საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
**„პატოკსან"** ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,
**„პატოკსან"** ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
**„პატოკსან"** თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.
ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ."** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".

**რკინის გზა**
**ქუთაისიდან მიდის.**
**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.
**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; ს... 45 წ. დღ.
**ქუთაისს მოდის.**
**თფილისი-დან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამი...
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; ს... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ... 7 საათ. დილ.
**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; ს... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 ...
**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. ...
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. ... საათ. 9 წ. დილ.

**ქ. ქუთაისში** (სობოროსთან
**ა. თაბაგარის მაღაზიაში**
**20 ივლისიდან დანიშნულია**
**დიდი იაფი ვაჭრობა**
**ველოსიპედების და სხვ.**



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშ... გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
**ფასები ძლიერ დაკლებულია**

**ხრესილი.**
**სამკურნალო აბანო**
მეირფასი მთის აერზე
**ძმ. ყორყოლაძეების**
ექიმი ინახულებს დასწრებით... თავისი ფაქტიურა...
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილ... ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

**გ. გორდაძის და ს. წერეთლის**
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ... უმაღლესი სასახლის გოფმესტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბეშვის ... ბის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСК...
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.